ა.ა.ი.პ-ი ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაციისა და ფილიალების თანამშრომელთა დასაჩუქრების მიზნით სასურსათო ნობათების შესყიდვისათვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ქუთაისი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწოფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან და გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტექნიკური დოკუმენტაცია

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს:

2.1. იურიდიული პირისათვის:

საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ გამოიყენება

2.2. ფიზიკური პირისათვის:

საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ გამოიყენება

2.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის წარმოსადგენი ტექნიკური დოკუმენტაციაა

ა) პრეტენდენტის შეთავაზება დანართი N1 მიხედვით

ბ) ფასების ცხრილი ტექნიკური დავალების შესაბამისად

ტექნიკური დავალება ფასების ცხრილი (ერთი ნობათის შემადგენლობა)

№	საქონლის დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა (ცალი)	წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1.	შაქარი	ქარხნული წესით შეფუთული, არანაკლებ 1 კ.გ.	2კგ			
2.	შედედებული რძე	ცალი (რკინის კოლოფი არანაკლებ 370 გრამი)	1			
3.	ზეთი	ბოთლი (1ლიტრი)მზესუმზირის	1			
4.	შოკოლადის კანფეტი	ქარხნული წესით შეფუთული	1 კ.გ.			
5.	მაიონეზი	200 გრამი, არასამარხვო	1			
6.	კარაქი	200 გრამი, არასამარხვო, ქარხნული წესით შეფუთული	2			
7.	კვერცხი	პირველი კატეგორიის (ცელოიდში შეფუთვით)	10			
8.	პურის ფქვილი	უმაღლესი ხარისხის ფქვილი, მუყაოს შეფუთვით	2 კ.გ.			
9.	შეფუთვა	საკვები პროდუქტები ერთი ბენეფიციარისათვის უნდა მოთავსდეს ქაღალდის თეთრი ფერის სახელურიან ჩანთაში. ჩანთის, გარედან, ერთ გვერდზე უნდა დაიბეჭდოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის გერბი, ფერადი ბეჭდვით,გერბის სიმაღლე 15 სმ,სიგანე 10 სმ. ა.ა.ი.პ.ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ლოგო,ფერადი ბეჭდვით,ლოგოს სიმაღლე 15სმ,სიგანე 10 სმ.	1			
სულ ჯამი						
ნობათის ნაკრები (ბენეფიციართა რაოდენობა)			470	–		

მიწოდების ადგილი:	ქ.ქუთაისი,წმ ნინოს#9.მესამე სართული.
მიწოდების ვადა:	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) _____

1. პრეტედენტი ვალებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოახდინოს ქალაქი ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში მის: ქ.ქუთაისი წმინდა ნინოს ქ .№9 მე-3 სართული

2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქ. ქუთაისის ა.ა.ი.პ-ი. სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის ფასების ცხრილში ჩამოთვლილი საკვები ბროდუქტების ნიმუშების წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ხოლო შეთანხმებული საკვები პროდუქტების მოწოდება ხელშეკრულების დადებიდან 31 დეკემბრამდე შემსყიდველთან შეთანხმებით.

3. საკვები პროდუქტები არ უნდა იყოს დაზიანებული,(გატეხილი,დანაწევრებული) ვადაგასული .

4. სატენდერო დოკუმენტაციაში გაითვალისწინონ შემდეგი პირობა: იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ.ქუთაისი 2015 წელი

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ ,, ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება", (შემდგომში ,,შემსყიდველი“) გაერთიანების მ/შ ნინო უჩაძის სახით. (მისამართი: ქ.ქუთაისი, წმ. ნინოს №9 და მეორეს მხრივ _____ , (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____სახით, (მისამართი:_____), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 ,,მიმწოდებელი “ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს **ა.ა.ი.პ-ი სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაციასა და ფილიალების თანამშრომელთა დასაჩუქრების მიზნით** სასურსათო ნობათების **შესყიდვა.**
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.
2.3 კლასიფიკატორის კოდი-15800000. სხვადასხვა საკვები პროდუქტები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს —— ლარს;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.
4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა.ა.ი.პ ,,ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის მიერ უფლებამოსილი პირი.
4.6 უფლებამოსილი პირის ფუნქციაა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება და შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმება გაფორმება.

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1 სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე,შემსყიდველთან შეთანხმებით.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორემხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე,შემსყიდველთან შეთანხმებით.

6.2 ობიექტი საბოლოოდ მიღებულად ჩაითვლება მხოლოდს ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ
6.3 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ახორციელებს ა.ა.ი.პ ,,ქალაქ ქუთაისის სპორტული დაწესებულებების გაერთიანება".
6.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.ქუთაისი წმინდა ნინოს ქ.N9

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ,,მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე;
7.2 ,,მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,
ბ) პრეტენდენტის დ.ღ.გ.-ს გადამხდელად დარეგისტრირების შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ–ს ანგარიშფაქტურა.
7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში);
7.4 ანგარისშწორების ვადაა სამუშაოს საბოლოო შესრულების აქტის დამტკიცებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე;
7.5 ანგარისწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 14 ივნისის №336 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოს შეასრულებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით;
8.2 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება ერთი წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9.ფასები

9.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ტექნიკურ დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;
9.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელიპერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

10.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში;
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

13. მხარეთა უფლება–მოვალეობები

13.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**
– სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია
13.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**
– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
13.3 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
13.4 **მიმწოდებელი ვალდებულია:**
– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ;
14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების

შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს;
-იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
15.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ - ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულობლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
16.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვიტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;
16.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის,

მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვით აღემატება საქონლის მიწოდების დასრულების ვადას.
19.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ გოქაძე ტელ: 0 (431) 25 59 97

20. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
ა.ა.ი.პ ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებების გაერთიანება" მის: ქ.ქუთაისი წმინდა ნინოს ქუჩა N9 ს/ს პრივატ ბანკი ქუთაისის ფილიალი ს/კ 412677269 ბანკის კოდი CAVOGE22 ა/ა GE05TP0034080020000390 10	

დანართი1

პრეტენდენტის შეთავაზება

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა სახელი და გვარი	
	პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:	
	საიდენთიფიკაციო კოდი	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
	ელექტრონული მისამართი	
	ბანკი	
	ბანკის კოდი	
	ანგარიშის ნომერი	
2	ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ	
3	პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი.	